პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 101 (18943) ორშაბათი, 30 აპრილი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

სურათზე: თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების სართავი ფაბრიკის მოწინავე მრთველი მადონა ბურჭიანი.
შ. აივაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გაუმარჯოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევ კავშირს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიკირველმაისო მოწოდებებიდან

საპირველმაისო შრომითს ვახტზე

ოთხი თვის გეგმა შესრულებულია

როგორც საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება „შრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — პირველი მაისის ღირსეული შეხვედრისათვის, სამშობლოს უსატაკეს მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების მოცულობის ოთხი თვის გეგმის შესრულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებით შთაგონებულმა საქართველოს მუშათა კლასმა ვალდებულა კვლავაც განამტკიცოს მიღწეული წარმატებანი და ვალდებულება ადრე დამთავროს მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებანი. (საქინფორმი).

ცხინვალი

მაისის დღესასწაულები 130 ოჯახისათვის ახალმოსახლეობის დღესასწაულიც გახდება. ასე გადაწყვიტა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „ცხინვალშენის“ № 11 ტრესტის კოლექტივმა.

მთავრდება სამონტაჟო და მოსაპირკეთებელ-სამუშაოები ორ ობიექტზე — 45 და 24-ბინიან საცხოვრებელ სახლებში. მალე დამთავრდება მთელი რიგი სხვა ობიექტების მშენებლობაც.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ამ სამშენებლო მოედნებს შეუფერხებლად, ზუსტი გრაფიკით უზრუნველყოფენ მასალებით. აქ ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის. მაგალითად, კაზბეკ კუდუხოვის ბრიგადა გეგმებს 140-150 პროცენტით ასრულებს. მოწინავეებს სხვა კოლექტივებიც ბაძავენ.

გორი

1 მაისს სანაქებოდ ხვდებიან ბამბეულის საწარმოო გაერთიანების № 2 საქსოფი ფაბრიკის იმ ბრიგადის წევრები, რომელსაც ორგზის შრომის წითელი დროშის ორდენსანი ა. ბულგაკოვი ხელმძღვანელობს. მთ აპრილში პირნათლად შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის სახელმწიფო დავალება.

ა. ბულგაკოვის ბრიგადას მიმდინარე ხუთწლედში 2.135.445 მეტრი ქსოვილი უნდა გამოეშვა. ეს დავალება გადაჭარბებით შესრულდა!

სახელოვან ბრიგადირთან ერთად შრომითს გამარჯვებას ზეიმობენ მქსოველები ეუფუნა ლომიძე, ნუნუ ფრიდონიძეული, დარეჯან კურტანიძე და სხვები. გამოშვებული ქსოვილის 99 პროცენტი პირველი ხარისხისაა. (ხაკ. კორ).

ტყვარჩელი

საპირველმაისო შრომითი ვახტის დღეებში ტყვარჩელის სადგურიდან ქვანახშირით დატვირთული ეშელონების შეუფერხებელი გაგზავნის შეთავსებული გრაფიკი შეიმუშავეს რკინიგზელებმა და მეშახტეებმა. ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკის ბუნკერებიდან რუსთაველ მეტალურგებს გათვალისწინებული განწესით გაეგზავნათ კოქსკონცენტრატით დატვირთული მორიგი დიდწონიანი შემადგენლობა.

ამ მოწინავე კოლექტივის ყველა ტექნოლოგიური ცვლა ღირსეულად ეგებება პირველ მაისს. შემუშავებულია მძიმე გარემოში მყარი სათბობის გამდიდრების ოპტიმალური ტექნოლოგია. ტყვარჩელელთა გამოცდილებამ დონბასის, ყარაღანდის, კუზნეცკის აუზის, საზღვარგარეთის ქვეყნების სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო.

ხელი შეუწყონ რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული პროგრესის დაჩქარებას — ამ ამოცანას ისახავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ.

იგი ითვალისწინებს საქმიანობის კოორდინაციისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარების ღონისძიებათა კომპლექსის ერთობლივ განხორციელებას, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა მატერიალური წახალისების სისტემის სრულყოფას, რეზერვების გამოვლენასა და მოწინავე გამოცდილების ფართო გავრცელებას. საბოლოო მიზანია: მიაღწიონ აკადემიის ხაზით მეცნიერების ეფექტიანობისა და პრაქტიკული უაზეგების შემდგომ ამაღლებას, უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობები.

ხელშეკრულების ფარგლებში მეცნიერებათა აკადემიამ იკისრა ვალდებულება სისტემატურად გაიცნოს ფინანსთა სამინისტროს პერსპექტიული სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ნამუშევრები, რომლებიც რეკომენდებულია სახალხო მეურნეობაში დასანერგად, აქტიური მონაწილეობა მიიღოს დანერგვის პროცესში.

მეცნიერები უხელმძღვანელებენ ახალი ტექნოლოგიური პროცესების ნახევრად სამრეწველო, სამრეწველო და ახალი ტექნიკის ნიმუშების გამოცდას.

გადაწყდა აგრეთვე დაეხმარონ სამინისტროს მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემის შემდგომი სრულყოფის ექსპერიმენტების მომზადება-მოწყობაში.

თავის მხრივ ფინანსთა სამინისტრომ ვალდებულება იკისრა დახმარება გაუწიოს მეცნიერებათა აკადემიას რესპუბლიკის სამინისტროებთან, გაერთიანებებთან, საწარმო-დაწესებულებებთან, დარგობრივ, სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებთან საუწყებათშორისო ურთიერთობის დამყარებაში, რათა უზრუნველყონ საჭირო პირობები სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის დაჩქარებისათვის.

— ჩვენ გვსურს აკადემიის აქტიური თანამშრომლები ვიყოთ სამეცნიერო ნაშრომების პრაქტიკულ დანერგვაში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა დ. დვალიშვილმა, როცა განმარტა ხელშეკრულების მნიშვნელობა. უაღრესად დაინტერესებული ვართ საწარმოთა ეფექტიანი მუშაობით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით. ეს შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა განუწყვეტელი, აქტიური დანერგვის მეოხებით.

სწორედ ამან განაპირობა ჩვენი გადაწყვეტილება ჩავბმულიყავით „მეცნიერება-წარმოების“ ჯაჭვში, მის იმ რგოლში, რომელიც ეხება მეცნიერული ნამუშევრების პრაქტიკული დანერგვის დაჩქარებას. გარკვეულწილად ჩვენ ვიკისრეთ ორგანიზატორის ფუნქცია, რომელიც ცდილობს მაქსიმალურად შეკვეცოს ამ პროცესის ვადები.

განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი

თანამშრომლობენ მეცნიერები და ფინანსისტები

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სისტემის საწარმოები, რომლებიც რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში შედიან, სასახელო შრომითი წარმატებებით ეგებებიან შრომისა და მშვიდობის დღესასწაულს — პირველ მაისს. მთ ვადაზე ადრე — 28 აპრილისათვის შეასრულეს თვიური საწარმოო დავალება, გამოუშვეს ათობით მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია. თვის ბოლომდე სისტემის საწარმოები საშობლოს დამატებით მისცემენ მილიონ 300 ათასი მანეთის პროდუქციას.

საპირველმაისო დღეები საწარმოთა კოლექტივებმა კიდევ ერთი შრომითი გამარჯვებით აღნიშნეს, მთ ვადაზე ადრე — 23 აპრილისათვის შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოების ოთხი თვის დავალება, ამასთან ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების 3 პროცენტით გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების 0,5 პროცენტით შემცირების შესახებ გადაჭარბებით შეასრულა ყველა საწარმომ.

პირველი მაისის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ თბილისის, ქუთაისის, ფოთის, მახარაძის, მარნეულის და სხვა საწარმოები. სამინისტროს მრავალათასიანი კოლექტივი ვარაუდობს, რომ 1984 წლის ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებებსაც შეასრულებს და საშობლოს გეგმის გადამეტებით მისცემს 25 მილიონი მანეთის მთლიან პროდუქციას. („კომუნისტის“ კორ.).

უპატაკებენ დამამზადებლები

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს შეხვედრა

მოსკოვის მეტალურგიული ქარხნის „ნამგლისა და ურო“ მუშებთან

მოსკოვის მეტალურგიული ქარხანა „ნამგალი და ურო“ სოციალისტური ინდუსტრიის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. სახელოვანია მისი ისტორია, რომელიც ას წელზე მეტი ხნის წინთ დაიწყო. შესანიშნავია დიდი, ერთსულოვანი კოლექტივის დღევანდელი საქმეები. თანამედროვე ტექნიკური დონე, წარმოების კარგი ორგანიზაცია, მუშათა ოსტატობა შესაძლებლობას აძლევს ქარხნის მშრომელებს წარმატებით შეასრულონ საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

პირველ მაისს „ნამგალი და ურო“ კოლექტივი შრომაში ახალი მიღწევებით ეგებება.

ეს დღესასწაული მოსკოველი მეტალურგებისათვის თავისებურად საზეიმო და სასიხარულოა. 29 აპრილს ქარხნის მუშებს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. უ. ჩერნენკო.

გაიმართა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს გულითადი, საქმიანი საუბარი ქარხნის მუშებთან, რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი.

ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ ინტერესით გამოიკითხა, თუ როგორ მიმდინარეობს საწარმოს რეკონსტრუქცია, როგორია სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, მეტალურგთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, როგორ მუშაობს მისი პარტიული ორგანიზაცია.

შეხვედრა გახსნა საწარმოს პარტკომის მდივანმა ი. ვ. გრიბკოვმა.

სამგზის ორდენოსანი ქარხნის „ნამგლისა და ეროს“ მდიდარი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების შესახებ ილაპარაკა მისმა დირექტორმა ვ. ა. ისაევმა. დღეს საწარმო უშვებს ნაგლინსა და დაკალიბრებულ ლითონს, უეანგავ ლენტსა და სხმულს მაღალეფექტიანი მარკის ფოლადებისა და შენადნობებისაგან, სახალხო მოხმარების საქონელს. ქარხნის პროდუქციას იღებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, იგზავნება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ქარხნის განვითარებაში თვისებრივად ახალი ეტაპი გახდა მისი რეკონსტრუქცია, რომელიც წარმოების გაუჩერებლად ხორციელდება. აშენდა და საექსპლოატაციოდ არის გადაცემული უნიკალური ავტომატიზებული კომპლექსები.

მიმართა რა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს, მეფოლადე ვ. მ. კურბაკოვმა გულითადად მიიულოცა მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევა. მან თქვა, რომ მუშები დიდად აფასებენ მის თვალსაჩინო პოლიტიკურ ნიჭს, უმდიდრეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, პარტიული პრინციპულობასა და ადამიანობას, გულითადი მადლობა გადაუხადა კონსტანტინე უსტინის ძეს, დღენიადაგ რომ ზრუნავს მშრომელი ადამიანებისათვის, უსურვა მას ჯანმრთელობა და დიდი წარმატებანი მრავალმხრივ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობაში სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მადლობას ვუძღვნით პარტიას იმისათვის, რომ ახლა მშვიდობიანი ცა დაგვნათის, თქვა შემდეგ მეფოლადემ. კარგად გვესმის, თუ რა ძალისხმევას მოითხოვს ეს. ვიცით, რა დაძაბულად მუშაობთ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად თქვენ, კონსტანტინე უსტინის ძევ, როგორც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი და სახელმწიფოს მეთაური, რათა საბჭოთა ადამიანებისათვის უზრუნველყოთ მშვიდობიანი ცხოვრება. პარტიას შეუძლია იქონიოს მუშათა კლასის იმედი, რომელიც ყველაფერს იღონებს ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისათვის. მან განაცხადა, რომ იკისრა რა მომდინარე წლის სოციალისტური ვალდებულებანი, მისმა ბრიგადამ გადაწყვიტა გეგმის გადაჭარბებით გამოადნოს 150 ტონა ფოლადი. მეტალურგები სიტყვას არ ტეხავენ.

წარმოების ყველა გადამწყვეტ უბანზე შრომობენ კომუნისტები, თქვა ამხ. კურბაკოვმა, ისინი პირნათლად ახორციელებენ თავიანთ ავანგარდულ როლს. მან სიამაყით ილაპარაკა მეტალურგის პროფესიაზე, რომელიც ყოველთვის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და პატივსაცემი იყო ხალხში. დღეს ეს პროფესია განუყოფელია მაღალი განათლებისა და კულტურისაგან.

ძვირფასო კონსტანტინე უსტინის ძევ, მიმართა ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სოციალისტური შრომის გმირმა, უფროსმა ოსტატმა ბ. ვ. ჩუკანოვმა. ვსარგებლობ სასიხარულო მოვლენით — თქვენთან შეხვედრით და მინდა გაგიზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება და საზრუნავი, რომლებიც ჩვენ, წარმოების მუშაკებს გვაწუხებს. ავიღოთ, მაგალითად, შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა. მეტალურგებმა ღრმად შეიგნეს მთელი მისი უპირატესობანი. ბრიგადაში, ხაზი გაუსვა მან, ცნებები „ჩემი“ და „ჩვენი“ ერთ მთლიანს ერწყმის და თითქოს ერთ ზოდად ნდებოდეს.

შემდეგ ამხ. ჩუკანოვმა გამოთქვა აზრი, რომ ბრიგადის შემადგენლობაში, იქ სადაც ამისათვის პირობებია, უნდა შედიოდნენ უშუალოდ წარმოებაში დასაქმებული ოსტატებიც.

ქარხნის ახალგაზრდობის სახელით მეალეკავმა ა. პ. მოსეევმა თქვა: ახალგაზრდა მეტალურგებმა კონსტანტინე უსტინის ძეს, მხურვალედ აღიქვეს თქვენი სიტყვები იმის შესახებ, რომ ახალი სამყაროს აშენება ნიშნავს დაუცხრომლად ვზრუნავდეთ ახალი სამყაროს ადამიანის ჩამოყალიბებისათვის. ახალგაზრდობას პარტიის ეს განაწესი მიაჩნია იმის მოწოდებად, რომ ჩაინერგონ მაღალი იდეური მრწამსი, კომუნიზმის საქმის ერთგულება. ჩვენ გვყავს ადამიანები, რომლებსაც შეგვიძლია მივბაძოთ, ვისგანაც ვიძენ ცოდნას ვისწავლოთ. ესენი არიან ჩვენი ქარხნის კადრის მუშები — პარტიის, შრომის, დიდი სამამულო ომის ვეტერანები. ჩვენს წინაშეა თქვენი ბრწყინვალე ცხოვრებისეული გზა, კონსტანტინე უსტინის ძევ.

ჩვენი საზოგადოება მშრომელი, სამართლიანი საზოგადოებაა. მაგრამ თუ გულახდილად ვიტყვით, არიან ადამიანები, მათ შორის ახალგაზრდებიც, რომლებიც არც ავად, არც კარგად არ მუშაობენ, არადა, ყველა სიკეთის მიღება სურთ, როგორც კეთილსინდისიერ მშრომელებს, ზოგჯერ მეტსაც. მშრომელ კოლექტივს დიდი უფლებები აქვს, და ასეთ პირებს უფრო მკაცრად უნდა მოჰკიდოს. ეს სამართლიანი იქნება.

(დასასრული მე-2 გვ.).

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდად ვაფასებ თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობას. თქვენ ხომ წარმოადგენთ მუშათა კლასის დიდ რაზმს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაჩქარებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე დგას.

სოციალისტური-პოლიტიკურ ატმოსფეროს, რომელშიც ცხოვრობს და შრომობს ჩვენი ხალხი, ამ დღეებში განსაკუთრებით ახასიათებს მომწიფებული საკითხების გადაწყვეტის კოლექტიური შემოქმედებითი ძიება, გერგილიანობა, მომთხოვნელობა. ცხოვრების ყველა დარგში მიმდინარე სასიკეთო ცვლილებები საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერას პოულობს.

ამ ატმოსფეროს განმტკიცებაგანვითარებას ისახავს მიზნად ცენტრალური კომიტეტის ოებერვლისა და აპრილის პლენუმებისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებანი. ისინი გვრაზმავენ შეთანხმებული, დაძაბული მუშაობისათვის კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით.

ჩვენი შეხვედრა პირველი მაისის წინ მიმდინარეობს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის სახელით მხურვალედ გილოცავთ თქვენ და ყველა საბჭოთა ადამიანს შრომისა და მშვიდობის ამ დიდ დღესასწაულს.

დიდად მადლობელი ვარ თქვენი გულითადობისა და გულახდილობისათვის. ამაში ვხედავ მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, ცენტრალური კომიტეტისადმი მტკიცე ნდობის გამოვლინებას.

მშრომელ ადამიანებთან უშუალო ურთიერთობის ლენინური ტრადიცია მუდამ ცოცხლობს ჩვენს პარტიაში.

მახსოვს, რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვზე მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრამ. მას არაერთგზის გახსენებია მუშათა მსჯელობა და აზრები, რომლებიც მათ გამოუთქვამთ ქარხანაში, როცა ბჭობდნენ ცხოვრების მიერ დასახულ ძნელ ამოცანებზე.

ასეთი შეხვედრები უაღრესად დიდმნიშვნელოვანია და, მე ვიტყოდი, — ძალზე სასარგებლო. ჩვენი დღევანდელი საუბარიც საშუალებას გვაძლევს უფრო კარგად ვიგრძნოთ ქვეყნის შრომითი მაჯისცემა. თითქოს და ცნობილი მთელი რიგი საკითხები ახლა კიდევ უფრო გამოიკვეთა.

ამხანაგებო! თქვენი სამგზის ორდენოსანი საწარმოს სახელწოდებაში გაერთიანებულია საბჭოეთის ისტორიული სიმბოლოები — ნამგალი და ურო. ქარხნის მუშები იყვნენ რევოლუციური მებრძოლებისა და შრომელთა სახელმწიფოს მშენებლების მოწინავე რიგებში. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მატიანეში „ნამგალი და ურო“ შევიდა, როგორც ხარისხოვანი მეტალურგიის ერთ-ერთი პირმშო.

ცენტრალურ კომიტეტში კარგად იციან, რომ ქარხნის კოლექტივი, მისი პარტიული ორგანიზაცია დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ჩვენი ეკონომიკის წინაშე მდგომ ამოცანათა გადაწყვეტას.

„ნამგლისა და ეროს“ მეტალურგებმა წარმატებით შეასრულეს 1983 წლის დავალებები და გადიდებული ვალდებულებანი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც კარგ დონეზე იმუშავა ქარხანამ. აღსანიშნავია, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა 4 პროცენტით და მეტი გადაჭარბებით შესრულდა. ეს ურიგო დასაწყისი როდია. დასაწყისი, კი როგორც ხალხი ამბობს, საქმის ნახევარია.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დარგების ტექნიკური განახლება, მეცნიერების უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვა. ეს დროის დაბეჯითებითი მოთხოვნა, შეიძლება ითქვას, ეპოქის მოთხოვნაა. იგი აქტუალურია კიდევ იმიტომ, რომ შექმნილ დემოგრაფიულ სიტუაციაში ველარ გვექნება შრომითი რესურსების ისეთი ნაკადის იმედი, როგორიც აქამდე გვქონდა.

ლითონს ტყუილად როდი უწოდებენ „ინდუსტრიის პურს“. თქვენ, ალბათ, იცით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო სპეციალური დადგენილება შავი მეტალურგიის ტექნიკური სრულყოფის შესახებ. აქ მთავარ მნიშვნელობას ვანიჭებთ მაღალხარისხოვანი, ეკონომიური ლითონპროდუქციის გამოშვების თანამიმდევრულ გადიდებას. სხვაგვარად ვერ მივაღწევთ საჭირო გარდატეხას მანქანათმშენებლობაში, მშენებლობასა და სხვა დარგებში.

ამ საკვანძო ამოცანის გადაჭრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა რეკონსტრუქცია, ძირითადი ფონდების განახლება. თქვენი კოლექტივი უნარიანად და ენერგიულად დაადგა სწორედ ასეთ გზას.

პირდაპირ გეტყვით, ადვილი საქმე როდია არსებითად ახალი სიცოცხლე მიანიჭო მეტალურგიულ საწარმოს, ლამის მოსკოვის ცენტრში რომ მდებარეობს. განზე ვერ გაიშლები, წარმოებასაც ვერ შეაჩერებ.

თანაც განუხრელად უნდა ვითვალისწინებდეთ გარემოს დაცვის გაზრდილ მოთხოვნებს.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ. ქარხნის სპეციალისტები და მუშები, დამპროექტებლები და მშენებლები. მათ, როგორც მომახსენეს, გამონახეს ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებასთან ერთად მოქმედ საამქროთა რეკონსტრუქციის კარგი, ტექნიკურად და ეკონომიკურად დასაბუთებული ვარიანტები. ბევრმა ამათგანმა უკვე ხორცი შეისხა მაღალხარისხოვან პროდუქციის, თანაც ისეთი პროდუქციის გამოშვების თანამედროვე კომპლექსებში, რომელსაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ საზღვარგარეთ ვყიდულობდით. არსებითად გაუმჯობესდა შრომის პირობები.

ამოქმედდა 40-ზე მეტი ნაკადური ხაზი. შრომატევადი ოპერაციებისაგან განთავისუფლდა 1.200 მუშა და ახლა ისინი დასაქმებული არიან კომპლექსურ-მექანიზებულ და ავტომატიზებულ უბნებზე. შრომის ნაყოფიერება ქარხანაში 22 პროცენტით გაიზარდა.

ერთი სიტყვით, შედეგები ნაყოფიერი და დამაჯერებელია. ისინი საშუალებას გვაძლევენ სრულიად საფუძვლიანად ვთქვათ: „ნამგლისა და ეროს“ კოლექტივი იმის კარგ მაგალითს იძლევა, თუ როგორ უნდა სრულდებოდეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი — პასუხისმგებლობით და დისციპლინებულად. (ტასი.)

რა თქმა უნდა, თქვენ ძალების დიდი დაძაბვა დაგჭირდათ. უამისოდ არაფერი გამოვა, თუ საქმეს ნამდვილად მოჰკიდე ხელი და, როგორც ლენინი ამბობდა, „უაღრესად ენერგიულად“ წარმართე იგი. ყოველივე დასახული რომ შესრულდეს, კიდევ დიდი გარჯაა საჭირო. მაგრამ „ნამგლისა და ეროს“ კოლექტივმა იცის მუშაობა და, ვფიქრობ, ამ ამოცანას თავს გაართმევს.

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათებზე: ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო ქარხნის დათვალიერების დროს ესაუბრება მუშებს. ქარხნის მუშები მიესალმებიან ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს.

საჯდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს შეხვედრა

მოსკოვის მეტალურგიული ქარხნის „ნამგლისა და უროს“ მუშებთან

(დასასრული)

ჩვენი ქარხნის მაგალითით, თქვა ამხ. მოისეევმა, ვხედავთ, თუ რა ბევრი რამე კეთდება ქვეყანაში საბინაო პრობლემის გადაწყვეტისათვის. ქარხანაში იქმნება ახალგაზრდა ოჯახები და მათ აინტერესებთ, თუ როგორია სამომავლოდ საბინაო მშენებლობის გეგმები.

მან აღუთქვა ამხ. კ. უ. ჩერნენკოს, რომ კომკავშირელები და ახალგაზრდობა ღირსეულად ამრავლებენ უფროს თაობათა რევოლუციურ ტრადიციებს, მათ უმდიდრეს გამოცდილებას თავიანთი მიღწევებით. ჩვენ, თქვა მვალცავმა, კარგად გვაქვს შეგნებული საკუთარი პატრიოტული მოვალეობა და მუდამ მზად ვართ დავიცვათ საყვარელი სოციალისტური სამშობლო. გავუფრთხილდებით ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს ისე, როგორც იცავდით მას შფოთიან ოცდაათიან წლებში თქვენ, კონსტანტინე უსტინის ძეო, სასაზღვრო საგუშაგოს პარტორგი.

ჩემთვის, კაცრის მეტალურგი მუშისათვის, თქვა უფროსმა მვალცავმა ა. ვ. მალიშევმა, მეტად სასიამოვნოა ვხედავდე, თუ როგორ ახალგაზრდავდება ჩვენი ისი წლის ქარხანა „ნამგალი და უროო“ აღმმართება ახალი თანამედროვე კორპუსები. ახლახან დავიწყეთ კიდევ ერთი საამქროს — ფოცლების და ზოლების ცხელი გლინვის საამქროს მშენებლობა. როცა ამოქმედდება, ძირითადად, დამთავრდება ქარხნის რეკონსტრუქცია. გვინდა დაჩქარდეს ამ საამქროს მშენებლობა. რათა მეთორმეტე ხუთწლედში სრული მოცულობით იძლეოდეს პროდუქციას.

თხუთმეტი წელია ვმუშაობ სორტასგლინავი საამქროს „450“ დგანზე. რა თქმა უნდა, დგანის მექანიზმები და მოწყობილობა ჩამოუვარდება ისეთ თანამედროვე მანქანებს, რომლებიც ახალ საამქროებში დაიდგა, მაგრამ ძველი მოწყობილობითაც ბევრი რამის მიღწევა შეიძლება, თუ შემოქმედებითად, პასუხისმგებლობით მოვეკიდებით საქმეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ასრულებენ მოსკოველები მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებებს, რა მიღწევებით ეგებებიან პირველი მაისის დღესასწაულს. დედაქალაქის მშრომელებმა უზრუნველყვეს მიმდინარე წლის 1 კვარტალის გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება. მან კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს მოახსენა, რომ წარმატებით სრულდება პარტიის დავალება შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების დამატებითი შემცირების შესახებ.

ამხანაგი ვ. ვ. გრიშინი შეეხო ქარხანა „ნამგალი და უროს“ მეტალურგთა წინაშე დასახულ ზოგიერთ ამოცანას. საჭიროა, თქვა მან, დავაჩქაროთ ქარხნის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების დამთავრების სამუშაოები, მივაღწიოთ ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ლითონპროდუქციის გამოშვების გადიდებას. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია უნდა ჩაუდგეს სათავეში ამ ამოცანების განხორციელებისათვის კოლექტივის მუშაობას. მან გამოთქვა რწმენა, რომ „ნამგალი და უროს“ კომუნისტები, მშრომელები, ისევე როგორც მთელი მშრომელი მოსკოვი, ყოველ ღონეს იხმარენ მიმდინარე წლის გეგმისა და საერთოდ ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამხანაგმა ვ. ვ. გრიშინმა გულითადად მიულოცა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს, ყველა დამსწრეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული — 1 მაისის დღე და უსურვა შემდგომი წარმატებანი მუშაობაში.

შემდეგ გამოვიდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

შეხვედრის სამახსოვროდ მეტალურგებმა ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გადასცეს ქარხნის სუვენირი — ქარხნის 100 წლისთავისათვის გამოშვებული საიუბილეო მედალი და სამკერდე ნიშანი.

ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო იყო საამქროებში. მუშები მხურვალედ მიესალმებოდნენ კონსტანტინე უსტინის ძეს.

მეტალურგიული წარმოების თანამედროვე დონის შესახებ თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა ახალი სორტსაგლინავი საამქრო. ამ საამქროში, რომელიც ნახევარ კილომეტრზე მეტ მანძილზე გადაჭიმულა, უხვად არის ჰაერი, მძლავრი სავენტილაციო დანადგარები მრავალგზის ცვლილან ჰაერს შენობაში. ელექტრონული მართვის სრულყოფილი ავტომატები თავად აკისრებენ მეტალურგთა მძიმე ხელის შრომას.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოსთან საუბრისას მუშებმა განაცხადეს, რომ მოლიანად უუერენ მხარს პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის, დისციპლინის განმტკიცების გზების შესახებ. მათ თქვეს, რომ თანამედროვე რთულ საერთაშორისო ვითარებაში მოსკოველ მეტალურგებს თავიანთ მოვალეობად მიიჩნიათ ყოველნაირად განამტკიცონ ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალი.

უფროსმა ოპერატორმა გ. გ. ვოვკმა, რომელიც ამ საწარმოში მეოთხედი საუკუნეა მუშაობს, გულითადი მადლობა უძღვნა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს კოლექტივის სტუმრობისათვის.

შემდეგ საუბარში ჩაება უფროსი ოპერატორი ი. ე. ფროლენკო, რომელმაც თანამშრომელი ამხანაგების სახელით ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს აღუთქვა, რომ ქარხნის რეკონსტრუქციის დავალებებს წარმატებით შეასრულებენ.

მუშებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება წარმოების განახლების ერთდროულად ფართო სოციალური პროგრამაც. მაგალითად, ოპერატორმა ვ. დ. ტრიშკინმა თქვა: ჩვენ ნიადაგ ვგრძნობთ ხახელმწიფოს მზრუნველობას. მე შემიძლია დავადასტურო როგორც მუშამ და როგორც დედამ. ჩვენ ყველაფერი გვაქვს: გვაქვს საყვარელი სამუშაოც და დასვენების შესაძლებლობებიც. ამ ცოტა ხნის წინ ქარხანამ მე და ჩემს მეუღლეს, რომელიც სხვათა შორის, ამავე საამქროში შრომობს, ახალი ბინა გამოგვიყო.

მუშებმა გულითადად მიულოცეს ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს პირველი მაისის დამდეგი დღესასწაული.

მიმართა რა შემოხვეულ მეტალურგებს, კონსტანტინე უსტინის ძემ თქვა:

— ჩაუფიქრდით, ამხანაგებო, ყოველივე, ხომ რაც ჩვენ გვაქვს, ყოველივე, რაც ქვეყნის სიმდიდრეს შეადგენს, — შექმნილია მუშათა კლასის გამრჯე, მარჯვე მარჯვენით, მშრომელი კაცის მარჯვენით.

გიყურებთ თქვენ, შეგყურებთ თქვენს საამქროს, და მეუფლება სიამაყე ჩვენი საბჭოთა ადამიანებისათვის, რომელთა თავდადებული შრომა, რომელთა ნიპიც ქმნის ყოველივე საჭიროს ჩვენს მიწა-წყალზე: აშენებს სახლებს, მოპყავს პური, აღნობს ფოლადს, აგებს ხიდებსა და ჰიდროსადგურებს. დღეს თქვენთან შეხვედრებისა და საუბრების დროს კვლავ დავრწმუნდი: რა შესანიშნავი მუშათა კლასი გვყავს, მისი ბადალი მართლაც არ მოიძებნება მსოფლიოში.

მადლობა თქვენდა! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს თქვენს შემოქმედებითს, ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო შრომაში.

სორტსაგლინავ საამქროში ამხანაგმა კ. ჩერნენკომ დაათვალიერა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ქარხანა „ნამგალი და უროს“ პროდუქციის ნიმუშები, რომლის მარკასაც მომხმარებელთა შორის დიდი ავტორიტეტი აქვს. ექსპოზიციაში შეტანილი სახალხო მოხმარების საქონელიც, რომლის გაჯანსაღებად საწარმოში სპეციალური საამქრო შენდება.

მოსკოვის მეტალურგიული ქარხნის „ნამგლისა და უროს“ კოლექტივთან ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს შეხვედრამ მკაფიოდ დაადასტურა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო საბჭოთა ადამიანების ურყევი შეკავშირება, საბჭოეთის მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილება და ნება განახორციელონ პარტიის გეგმები, რომელთა მიზანია განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების სრულყოფა. (საკდესი).

სურათზე: ქარხნის მუშებთან საუბრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

(დასასრული)

შედეგების მიღწევა, რომლებზეც დღეს ვლაპარაკობთ, შეუძლებელი იქნებოდა, მუდმივ ყურადღებას, დიდ პრაქტიკულ დახმარებას რომ არ გიწევდნენ პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტი, შავი მეტალურგიის სამინისტრო, ყოველდღიურ აქტიურ მუშაობას რომ არ ეწეოდეს ქარხნის პარტიული ორგანიზაცია.

უნდა გითხრათ — და ეს მთელი ეკონომიკისათვის სასიხარულო ფაქტია — გარკვეული აღმავლობა შეინიშნება მთლიანად მეტალურგიაშიც. საქმიანად გააჩაღეს შეჯიბრება საწარმოთა კოლექტივებმა. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის სოციალისტური ვალდებულებანი შესრულდა. ამოცანა ის არის, რომ აღებული ტემპი უთუოდ შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო დავაჩქაროთ.

დღეს ამხანაგებმა თქვეს, რომ გაღელვებთ მეტალურგის პროფესიის პრესტიჟის საკითხი. რა თქმა უნდა, თქვენი მუშაობა გამოირჩევა გადიდებული დაძაბულობითა და სირთულით. და მისი პრესტიჟიც უნდა ამაღლდეს.

სამინისტროებმა და უწყებებმა, საბჭოთა ორგანოებმა და პროფკავშირებმა, ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც უნდა იზრუნონ, რომ ცხელ საამქროებში მომუშავე ადამიანთა შრომა კმაყოფილებას იწვევდეს, ღირსეულად ფასდებოდეს.

ძალიან სწორია, რომ თქვენს ქარხანაში რეკონსტრუქციის დროს მწყობრში ჩადგა ახალი საყოფაცხოვრებო სათავსოები, სასადილოები, პროფილაქტორიუმი, სასწავლო სახელოსნოები, პიონერთა ბანაკი. სიხარულით შევიტყვე, რომ აშენდა იმდენი ბაგა და სბავშვო ბაღი, რამდენიც საჭიროა. ყოველწლიურად „ნამგლისა და უროს“ მეტალურგების ასობით ოჯახი ზეიმობს ახალმოსახლეობას. ერთი სიტყვით, პრაქტიკულად ფართოვდება როგორც დიდნაყოფიერი შრომის, ისე სრულფასოვანი დასვენების, შრომითი ცვლის სწავლებისა და აღზრდის შესაძლებლობანი.

მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო: კოლექტივის მიღწევები უდავოა და ყველაზე კეთილ სიტყვებს იმსახურებს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სწორად, მუშურად მიუდგებით მსჯელობას ნაკლოვანებათა შესახებ. ნაკლოვანებანი კი, როგორც თვითონ იცით, გაქვთ.

ქარხანა, სამწუხაროდ, მთლიანად ვერ ასრულებს პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ეს აფერხებს სხვა კოლექტივების მუშაობას. არ ვარგა შრომაში ამხანაგების დაღალატება, და მდგომარეობა გადაჭრით უნდა გაუმჯობესო.

კიდევ ერთი პრინციპულად მნიშვნელოვანი ამოცანაა რეკონსტრუქციის, ახალი სიმძლავრეების შექმნის დანახარჯების უფრო სწრაფი ანაზღაურება. წარმოების კარგ პატრონს საქმე ისე აქვს დაყენებული, რომ მანეთი სწრაფად ეძებება ბრუნვაში, მატებას იძლევა. ერთი სიტყვით, მუშაობს. თქვენთან კი ჯერჯერობით დაბანდებული სახსრების უკუგების ვადები ყოველთვის როდი ემთხვევა ვალგარიშებულს. უნდა, გამოსაწორო საქმე, უფრო სწრაფად მიაღწიოთ საპროექტო მაჩვენებლებს, აკურატულად და დროულად დაბრუნოთ სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტში.

უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ მატერიალური რესურსებიც. ეს, რა თქმა უნდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგს ეხება. ზშირად ასე ხდება: არ გვყოფნის, მაგალითად, ლითონი და ბაშინვე ესვამთ მისი წარმოების შემდგომი გადიდების საკითხს. ამ დროს კი ჩვენში მეტ ლითონს ადნობენ, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. და ფოლადის მარკების ნაგლინის პროფილების რაოდენობის მიხედვით ჩვენ ტოლს არავის არ ვუდებთ.

ერთი მხრივ, პრობლემის არსია ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, იმ პროგრესულ სახეობათა ლითონპროდუქციის გამოშვების გადიდება, რომლებსაც ჯერ კიდევ არასაკმარისი რაოდენობით აწარმოებენ, ხოლო მეორე მხრივ, ეს არის ლითონის ხარჯვის შემცირება, როგორც თვით მეტალურგიაში, ისე მომხმარებლებთან დანაკარგების აღმოფხვრა. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ ძვირადღირებულ პროდუქციას, როგორსაც „ნამგალი და ურო“ უშვებს.

ზემოთქმული სავსებით ეხება აგრეთვე სათბობის დაზოგვას, ენერგიის ეკონომიას, სამწუხაროდ, რაღაცნაირად ფეხი მოიკიდა და ჩვენს პროპაგანდაშიც დამკვიდრდა ფრაზა, რომ ქვეყანა უსაზღვროდ მდიდარია ქვანახშირით, მადნით, ნავთობით, გაზით.

მაგრამ სინამდვილეში საქმის ვითარება არცთუ ისე იოლია. მარაგი მართლაც დიდი გვაქვს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ბუნება მას არ აღადგენს. მისი მოპოვებაც სულ უფრო ძვირი ჯდება. თანაც რესურსები უნდა შევუნახოთ მომავალ თაობებსაც და ამიტომ ისინი გონივრულად, რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ. უწინარეს ყოვლისა, მაქსიმალურად უნდა დავაჩქაროთ ენერგოდამზოგავი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავება და დანერგვა.

არ შეიძლება ვურიგდებოდეთ იმას, რომ ბევრი სერიული ძრავა, ქვაბი ელექტროსადგურებში 15-20 პროცენტით მეტ საწვავს წვავს, ვიდრე საბჭოთა მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მიერ შექმნილი საუკეთესო ნმუშები. შავ მეტალურგიაში კი ლითონის გახურების დროს სათბობის გამოყენების კოეფიციენტი საშუალოდ 1,5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მოწინავე საწარმოებში.

მართებული სიტყვები ლითონის, სათბობის, ენერგიის, ყველა სხვა რესურსების დაზოგვის საჭიროების შესახებ საკმარისად ითქვა. მაგრამ მათ ყოველთვის როდი განვამტკიცებთ კონკრეტული საქმეებით, მხოლოდ ინიციატივა, თითოეულის — მუშით დაწყებული და დირექტორით დამთავრებული — პირადი წვლილ ყველგან და ყველაფერში ეკონომიის რეჟიმის გაძლიერების კურსის განხორციელებაში მოგვცემს მნიშვნელოვან შედეგებს.

ამხანაგებო! ვიცი, რომ შეძენილი გაქვთ შრომის ბრიგადული ორგანიზაციის კარგი გამოცდილება

შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ამ ფორმამ ცხოვრების საგზური მიიღო მოწინავე კოლექტივების ინიციატივით, იგი მასების შუაგულში იშვა და ხალხის სოციალური შემოქმედების შედეგია.

შეუშავებულია შრომის ნაყოფიერების გაზრდის ეფექტიანი, ჩვენი წყობილებისათვის დამახასიათებელი გეზი. ნაპოვნია შრომელის, კოლექტივისა და საზოგადოების პირადი ინტერესების გაერთიანების სწორი მეთოდი. ეს კი სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი ძირეული საკითხი როგორც ეკონომიკური, ისე სოციალურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი თვალსაზრისით.

ამგვარად, მუშებისა და კოლმეურნეების მაღალი პოლიტიკური შეგნება, შრომის კულტურა ხელს უწყობს განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობის არსებითი ელემენტების ჩამოყალიბებას.

ეს კარგად შენიშნა სოციალისტური შრომის გმირმა ბორის ვასილის ძე ჩუკანოვმა, რომ ბრიგადებში ცნებები „ჩემი“ და „ჩვენი“, პირადი და საზოგადოებრივი იქცევა კლასობრივი შეგნების, პატრიოტული მოვალეობის ერთ-ერთ ძირეულ საკითხად როგორც ეკონომიკური, ისე სოციალურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი თვალსაზრისით.

ამ ფენომენებს ეფუძნება ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ეტაპი, ეს ეტაპი ეფუძნება ადამიანის ინტელექტუალურ, ფიზიკურ, ზნეობრივ ძალებს, ეფუძნება ადამიანის ინიციატივას, ადამიანის ინიციატივა ეფუძნება ადამიანის ინტერესებს. ეს ეტაპი ეფუძნება ადამიანის ინტერესებს, ეფუძნება ადამიანის ინტერესებს, ეფუძნება ადამიანის ინტერესებს,

ᲞᲐᲠᲬᲜᲘᲝᲠᲝᲑᲔᲜ, ᲐᲕᲚᲔᲜᲔᲑ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲡ!

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐ მოითხოვს ითქვას, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, რომელიც არაერთხელ იყო გაკრიტიკებული არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის, ყველაფერს ღონობს მდგომარეობის გამოსასწორებლად. სამინისტროს ყურადღების ცენტრშია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, შრომის ნაყოფიერების ზრდასთან, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან, მისი ასორტიმენტის გაფართოებასთან, ძველი ტიპის ღონისძიებების ოპერატიული განხორციელება. ამ მიმართულებით ადგილობრივი მრეწველობის ბევრ საწარმოში მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საგრძნობლად წაიწია წინ საქმემ.

მათ შორის გახლავთ თელავის რაისამრეწველო კომბინატიც. კომბინატიო, ვამბობთ, თორემ, ფაქტობრივად სად იყო იგი? პარტიის თელავის რაიკომის, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და თელავის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ერთობლივი დადგენილების პროექტში ვკითხულობთ: თელავის მოქმედი რაისამრეწველო კომბინატი ერთთანავს ტექნიკურად ძალზე დაბალი დონის, სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე წვრილ და მიმოფანტულ საწარმოო უბნებს, რომლებსაც შრომის ელემენტარული პირობებიც კი არ გააჩნიათ. ამ დოკუმენტში ნათქვამია იმის შესახებაც, რომ კომბინატი რაიონის ერთსულ მოსახლეზე უშვებს მხოლოდ 24 მანეთის პროდუქციას, რაც სამჯერ და მეტად ნაკლებია სამინისტროს საშუალო მაჩვენებელზე. ნათქვამია ისიც, რომ უმნიშვნელოა კომბინატში საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის ხვედრითი წილი წარმოების მთლიან მოცულობაში, რომ დღიდან დაარსებისა აქ არ აუშენებიათ და არ განუახლებიათ არც ერთი საწარმოო უბანი.

ასეთი არასახარბიელო მდგომარეობის გამოსასწორებლად დაისახა ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის განხორციელებისათვისაც ინტენსიურად დაიწყო ბრძოლა. პირველი ნაბიჯები შარშან გადაიდგა და დამაჯერებლადაც. დამზადდა 1.800 ათასი მანეთის პროდუქცია. აითვისეს ახალი სახეობის ავეჯის წარმოება, უშვებენ სამშენებლო მასალებს — ბლოკსა და ღორღს, მომმზარებელს გათვალისწინებულზე მეტი ღონგინის თეთრეული და სხვა ნაწარმი მიაწოდეს.

რეზერვების ძიება-გამოვლენამ დაარწმუნა კომბინატის კოლექტივი, მისი ახალი დირექტორი ვ. პაიკაძე, მთავარი ინჟინერი თ. ავაზაშვილი, პარტბიუროს მდივანი გ. ბაბურალი, სამკერვალო უბნის უფროსი შ. გიგილაშვილი, საავეჯო წარმოების უფროსი ზ. მალიანი, პლასტმასის უბნის უფროსი ვ. აზნაურიანი, ტექნოლოგი მ. მარგალიტაშვილი, რომ ამ მიმართულებით შესაძლებლობები უშრეტია. სწორედ რეზერვების გამოყენების იმედით დაისახეს მათ მიმდინარე წლისათვის საკმაოდ სოლიდური მიჯნები: გადაწყვიტეს წლეულს 24 პროცენტით გაეზარდათ წარმოების მოცულობა, მაგრამ მერე ამასაც აღარ დასჯერდნენ. ცნობილ ინიციატივას შრომის ნაყოფიერების გეგმის გადამეტებით ერთი პროცენტით გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების დამატებით 0,5 პროცენტით შემცირების თაობაზე კომბინატის მუშაკები აქტიურად გამოეხმაურნენ. ისინი საქმის ვითარების ღრმად შესწავლისა და ანალიზის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ შრომის ნაყოფიერება დავალების გადამეტებით 4,6 პროცენტითაც შეიძლება გაიზარდოს, რაც შეეხება პროდუქციის თვითღირებულებას, იგი დამატებით ორი პროცენტით შემცირდება.

ანალიზი, გაანგარიშება, რეზერვების ძიება-გამოვლინება — ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მთავარია საბოლოო შედეგი. როგორ არის საქმე, როგორ ერევა ნაკლი ვალდებულებას, დამატებითის ტარებულ ვალდებულებას, ფარულთა გამოშვებასაც აქ შეუდგნენ და რომლებიც მოსწონს მომმხმარებელს, სხვა მრავალი დასახელების ფართო მოხმარების საქონელს აითვისებენ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ—ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ!

ᲠᲝᲪᲐ ᲛᲘᲚᲬᲔᲣᲚᲡ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲐᲛ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘᲐ ᲩᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ. მისი წევრები ნაყოფიერად გაისარჯნენ მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში, განსაკუთრებით კი შარშან, როდესაც ჯერ კიდევ პირველი ნოემბრისათვის შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური საგეგმო დავალებანი. საწარმოს მოგება 1980 წლის 4,6 ათასიდან შარშან 864,5 ათას მანეთამდე გაიზარდა.

დიახ, წარმატებანი მართლაც საგრძნობი და ხელშესახებია, მაგრამ საწარმოს შრომელთათვის მიღწეული მიჯნა არ არის. მათ, გაეცნენ რა ნატანებელ კოლეშურნეთა და რესპუბლიკის სხვა მოწინავე შრომითი კოლექტივების პატრიოტულ თაოსნებებს, თავიანთს ღია პარტიულ კრებაზე გულდასმით გააანალიზეს არსებული რეზერვები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად ვალდებულება იკისრეს წლეულს საგეგმოსთან შედარებით 3,8 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და 1,8 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება...

რეპროდუქტორის დირექტორს აპოლონ წულაიას პარტიული კრების დამთავრების შემდეგ შევხვდით

— მიზანი მართლაც რთული, მაგრამ რეალურია, — გვითხრა მან. — ყველა რეზერვი და შესაძლებლობა მრავალგზის არის აწონილ-გაზომილიო, — დასძინა შემდეგ.

მაინც რა გზებითა და საშუალებებით აპირებენ ცხაკაიელი მეფრინველეები ამ თაოსნობის ხორცშესხმას? უწინარესად დისციპლინის შემდგომი განმტკიცებით, მინდობილი საქმისათვის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებით, მუშაობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვით.

სიახლეთა გაბედულ დანერგვასა და რეზერვების გამუდმებულ ძიება-ათვისებას კი აქ დიდ უყურადღებას აქცევენ. მაგალითად, შარშან საწარმოში პირველად დამკვიდრდა ბრიგადული მეთოდით მუშაობის პრაქტიკა. ამ ხერხით მომუშავე გამოსაზრდელი საამქროს № 1 ბრიგადამ (ბრიგადირი — თ. ფოჩხუა) 93-მდე გაზარდა შენარჩუნების პროცენტი, რაც რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. ბრიგადაში განმტკიცდა დისციპლინა, გაიზარდა პასუხისმგებლობა საქმისა და ერთმანეთის მიმართ, წინა წელთან შედარებით 48 მანეთით იმატა მისი თითოეული წევრის საშუალო თვიურმა გამომუშავებამ. შედეგიც კარგია. ან ამის დამდასტურებელი თუნდაც ერთი ასეთი ფაქტი: ბრიგადამ შარშან დაახლოებით 300 ტონა კომბინირებული საკვები დაზოგა. ამდენი საკვებით კი მთლიანად რეპროდუქტორს შეუძლია იმუშაოს 25 დღე-ღამის განმავლობაში და აწარმოოს 80 ათას მანეთისაზე მეტი პროდუქცია. წლეულს მეფრინველეობის ოთხივე ბრიგადა ამ მეთოდით იმუშაავებს, რაც საგრძნობ ეკონომიკურ ეფექტს მისცემს საწარმოს.

გარდა ამისა, რეპროდუქტორის მშრომელები წლეულს ერთ მოქცეულზე საგეგმო 190-ის ნაცვლად მიიღებენ 217 ცალ კვერცხს, რაც რესპუბლიკის რეპროდუქტორებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი იქნება, სანაციის ვადების მკაცრად დაცვითა და საფრინველეთა მაღალხარისხოვანი მომზადებით მოზარდეულის შენარჩუნების პროცენტს საგეგმო 90-ის ნაცვლად 95 პროცენტამდე გაზრდიან, საგრძნობლად შეამცირებენ ხორცისა და კვერცხის წარმოებისათვის განკუთვნილი საკვები ერთეულების რაოდენობას, მნიშვნელოვნად აამაღლებენ გამოჩეკვის, საინკუბაციო კვერცხის გამოსავლიანობის პროცენტულ მაჩვენებელს, საშუალო სადღეღამოსო წონამატებს. ყოველივე ამის შედეგად 329,3 ათასი მანეთით მოიმატებს პროდუქციის წარმოება. ნაწარმის თვითღირებულების შემცირებისათვის შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პირდაპირი დანახარჯების შემცირებას და ძირითადი საწარმოო ფონდების რაციონალური გამოყენებას. დაზოგავენ დიდძალ სწვავ-საპოხ მასალებს, მედიკამენტებს, ელექტროენერგიას...

საწარმოს გამართულ მუშაობაზე უთუოდ კეთილნაყოფიერად იმოქმედებს მიმდინარე მოდერნიზაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომლებიც წლეულს უნდა დამთავრდეს. ამის შედეგად რეპროდუქტორში ფრინველის რაოდენობა ახლანდელი 135 ათასის ნაცვლად 400 ათასს მიაღწევს, კვერცხის წარმოება ამჟამინდელი 9 მილიონიდან 20 მილიონ ცალამდე, ხორცისა — 1800-დან 5.000 ცენტნერამდე გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა უმთავრესად არსებული საწარმოო ფართობის მაქსიმალური დატვირთვით გამოყენებისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვით მიიღწევა.

— ყველაფერი ეს, ცხადია, ძალიან დაგვეხმარება უკეთ მუშაობაში, — ამბობს საწარმოს დირექტორი, — მაგრამ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ნაწარმის თვითღირებულების შემცირების საქმეში მთავარი როლი, რა თქმა უნდა, მაინც უშუალოდ მშრომელ ადამიანებს, საქმისადმი მათს დამოკიდებულებას განაკუთვნება. ამიტომ, როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დავსახეთ დისციპლინის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებანი, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ მშრომელთა მატერიალური და მორალური წახალისების პროგრესული ფორმების დანერგვასაც.

შედეგიც კარგია. მაგალითად, წინათ რეპროდუქტორი სისტემატურად განიცდიდა კვალიფიციურ მეფრინველე-მექანიკოსთა ნაკლებობას (მექანიკოსი კი ამ საწარმოში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა), დიდი იყო მათი დენადობის მაჩვენებელი. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დანერგეთ შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიული სისტემა, რის შედეგად მექანიკოსთა ხელფასი საშუალოდ 30-40 პროცენტით გაიზარდა. ამან კადრების დენადობის საკითხიც დადებითად გადაწყვიტა...

საქმე მართლაც რთული და პასუხსაგებია, მაგრამ ჩვენი რეპროდუქტორის მშრომელები, რომლებმაც გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს, ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, იმ დებულებებიდან და დასკვნებიდან, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მოხსენებებსა და გამოსვლებში.

დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკურ პოლიტიკას განვითარებული სოციალიზმის პირველმა წარმატებებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაამშვიდოს კომბინატის კოლექტივი და მისი ხელმძღვანელობა. ყველაფერი, რაც გაკეთდა, წვეთია ზღვაში, ეს მხოლოდ შემოქმედებითი ძიების პირველი, მოკრძალებული ნაბიჯია. მომავლისათვის გადასაწყვეტია ტექნიკური, ეკონომიკური და საორგანიზაციო ხასიათის ათობით პრინციპული ამოცანა. მთავარი ის გახლავთ, რომ კომბინატის ფონდაღჭურვა, მის მიერ გამოშვებული პროდუქცია მთლიანად შეესაბამებოდეს თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემუშავებულია კომბინატის განვითარების პერსპექტიული კომპლექსური პროგრამა, რომლის განხორციელებაც პარტიის თელავის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოს რაიაღმასკომის შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲡ“ Უ�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲩᲐᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲐᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲒᲐᲖᲗᲝᲗ „კომუნისტის“ 1984 წლის 11 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში „საჭიროა მეტი ორგანიზებულობა, მონდომება“, აღნიშნული იყო, რომ ფაბრიკის სამძლავრეთა ნაკლებობის გამო გეგეჭკორის რაიონში მწვავედ იგრძნობა ჩაის ფოთლის დამზადებასა და გადამუშავებას შორის დისპროპორცია, ჭიანურდება მეორე ჩაის ფაბრიკის მშენებლობა და სხვ.

ამასთან დაკავშირებით ჩაის გადამამუშავებელი მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ᲔᲜᲔᲠ ᲛᲐᲚᲐᲨᲝᲜᲘᲐ რედაქციას სწერს:

1983 წელს დაიწყო გეგეჭკორის №2 ჩაის ფაბრიკის მშენებლობა სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი კრედიტით. საიჯარო ორგანიზაციამ რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ შარშან მშენებლობაზე შეასრულა 385 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მათ ვერ უზრუნველყვეს მთავარი კოპრუსის სამშენებლო მზადყოფნა, ამიტომ ტექნიკურ მოწყობილობა-დანადგართა დამონტაჟება ვერ მოხერხდა.

წლეულს გათვალისწინებულია შესრულდეს მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მშენებლები უზრუნველყოფილი არიან საშენი მასალებით. მშენებლობის ტემპის დაჩქარების, ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარების აღრიცხვის, მიღება-შენახვისა და მშენებლობისათვის გადაცემის მიზნით დაინიშნა მშენებლობის დირექტორ-ტექზედამხედველი. განხორციელებულია სხვა კონკრეტული ღონისძიებანიც. თუ მშენებელი ორგანიზაცია მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება ფაბრიკის მშენებლობას და უზრუნველყოფს ობიექტის 1985 წლის სეზონისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემას, რომლის წლიური სიმძლავრეა 5 ათასი ტონა ჩაის ფოთლის გადამუშავება, ეს თითქმის აღმოფხვრის რაიონში ამჟამად არსებულ დისპროპორციას ჩაის ფოთლის დამზადებასა და გადამუშავებას შორის.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲪᲝᲜᲪᲮᲚᲘᲡ“ გამგეობის ახალი შენობა. მას აშენებს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 18 ტრესტის № 1 სამმართველო. სახლი, რომელიც წლეულს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ, შენდება არქიტექტორების გ. ბიბეიშვილისა და ბ. სუმბაძის პროექტით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მოწინავე მშენებლები — კომუნისტი დურგალი გ. ფერაძე და ელექტროშემდუღებელი ნ. აქსიონოვი, მიმდინარეობს სამონტაჟო სამუშაოები.

Ნ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲛᲡᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ

26 Ა�პᲠᲘᲚᲘ გაიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის დაუსწრებელი განყოფილების მსმენელთა მორიგი გამოშვება. კურსდამთავრებულთა შორის არიან პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივნები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატისა და ცენტრალური იდეოლოგიური დაწესებულებების მუშაკები, საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილეები, სხვა პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

სამი წლის მანძილზე .მსმენელები მუშაობას მოუწყვეტლივ სწავლობდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პრაქტიკის, კომუნისტური მშენებლობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, იდეოლოგიური საქმიანობის აქტუალურ საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მასალების, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა დოკუმენტებში ჩამოყალიბებული დებულებების შესწავლას.

სწავლის ბოლო ეტაპზე მსმენელების წინაშე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ნ. ა. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ვ. ა. მედვედევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების მოადგილეები ი. ვ. პეტროვი, ნ. ნ. ჩეტვერიკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ი. მარჩუკი, სსრ კავშირის მეცნიერებთა აკადემიის პრეზიდენტი ა. პ. ალექსანდროვი, სსრ კავშირის საჯინოს თავმჯდომარე ფ. ტ. ერმაში. მსმენელები გაეცნენ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, მოსკოვისა და მისი ოლქის სამრეწველო საწარმოთა პარტკომების მუშაობის გამოცდილებას, რომელიც მათ შეიძინეს საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის შრომითი კოლექტივების დარაზმვის საქმეში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში სწავლა დაამთავრეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტების ახლად არჩეულმა მდივნებმა, ოლქებიც მრეწველობისა და მშენებლობის საკითხებს განაგებენ, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ცენტრების პარტიის საქალაქო კომიტეტების პირველმა მდივნებმა. ისინი სწავლობდნენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო საქმიანობის, პარტიული კომიტეტების ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, იმ დებულებებიდან და დასკვნებიდან, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მოხსენებებსა და გამოსვლებში.

დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკურ პოლიტიკას განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ლექციები დააკავშირეს ეკონომიკური ფორმირების ობიექტურ კანონებს, ეკონომიკური ზრდის ტემპებს, ეფექტიანობასა და ხარისხის ამაღლებას, ეროვნულ-სამეურნეო კომპლექსებისა და ტერიტორიული-საწარმოო კომბინაციების ფორმირებას, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციასა და ინტენსიურ ფაქტორებზე გადასვლას, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას, ეროვნული ეკონომიკის ბალანსებს, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ნორმატივებს, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ეტალონებს, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ინდიკატორებს, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ფაქტორ

29 აპრილი

ულტიმატუმი

ფაქტები
მოვლენები

საქმესი
იუწყება

● სსრ კავშირ-შვეიცარია

დამოყვრებულთა თანამშრომლობა

სტოკპოლმი. *წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და შვეიცარის დამოყვრებული ქალაქების ურთიერთობა. პოლარული წრის მიღმა ქალაქი კირუნა — შვეიცარის სამთამადნო მრეწველობის ცენტრი — საბჭოთა მეტალურგების ქალაქს რუსთავს დაუმოყვრდა, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ ქალაქებს უმეოსა და პეტროზავოდსკს, სუნდსვალსა და ვოლხოვს, ტიმრსა და ვოლოგდას. მურმანსკსა და შვეიცარის უდიდესი გუბერნიის — ნორბოტენის ადმინისტრაციულ ცენტრს ლულეოს.*

დამოყვრებული ქალაქების ურთიერთობის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებაში დიდი როლი ეკუთვნის შვეიცარია-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირს. ჩვენი თანამშრომლობა, თქვა საკავშირო კორესპონდენტთან საუბრისას საზოგადოებათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ჩენგემ, პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობს ორი ქვეყნის დამოყვრებული ქალაქების დღეების მოწყობით, დელეგაციების გაცვლით, ერთობლივი კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზაციით. წელს დიდი წარმატებით ჩაიარა პეტროზავოდსკის დღეებმა უმეოში, ვოლხოვის საქალაქო ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის დელეგაცია ეწვია სუნდსვალს, სადაც გაეცნო შვეციის ქალაქის მეურნეობასა და ღირსშესანიშნაობებს.

დამოყვრებული ქალაქების ძეგობრულ კავშირს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოეთისა და შვეციის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების საქმეში. იგი ორი ქვეყნის ხალხებს ეხმარება უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, ხელს უწყობს თანამშრომლობის გაფართოებას, შეესაბამება მშვიდობისა და უსაფრთხოების ინტერესებს, ხაზგასმით აღნიშნა ი. ჩენგემ.

პოლონეთის პრესის საგენტოს ცნობა

ვარშავა. *როგორც პოლონეთის პრესის საგენტო იუწყება, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უშიშროების სამსახურმა გადანსკში უვნებელყო პირების ჯგუფი, აგრეთვე მოსპო მათ მიერ მუშაობისათვის მომზადებული დანადგარი, რომელიც შედგება მაგნეტოფონისაგან, გამაძლიერებლისა და მძლავრი დინამიკებისაგან. ამ მოწყობილობის დახმარებით კონტრრევოლუციური იატაკქვეშეთი პირებდა გამოეწვია უწესრიგობა საპირველმაისო ზეიმის დროს.*

დაახასიათა რა ქვეყანაში 1 მაისის წინ შექმნილი ვითარება, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ჩასტონმა გაზეთ „ტრიბუნა ლუდუსათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ კონტრრევოლუციური ელემენტები ცდილობენ პოლიტიკური პროვოკაციები მოაწყონ დასავლეთის სპეცსამსახურების მითითებით. მაგალითად, ვარშავაში დასავლეთის ანტიკომუნისტური და ანტიპოლონური ცენტრების წევრებით ანტისოციალისტური ელემენტები ცდილობენ მოაწყონ არალეგალური შეკრებები იმის იმედით, რომ შეძლებენ უწესრიგობის გამოწვევას. არიან ისეთი გარეწრებიც, რომლებსაც სურთ გამოიწვიონ ქვეყანაში ვითარების ახალი გამწვავება. დივერსიული ცენტრები ოკუპის გაღმა აშკარად საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ ასეთ პირებს. გამწვავებული საერთაშორისო ვითარების პირობებში ამერიკის შეერთებული შტატები და ზოგიერთი მისი ნატოელი მოკავშირე აძლიერებენ ფსიქოლოგიურ ომს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. მაგრამ დასავლეთის სპეცსამსახურების დემაგოგიას სულ უფრო ნაკლები რეზონანსი აქვს.

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ

● გზრ

სამუშაო, ხელფასი, პური

როგორც ეურნალი „შტერნი“ წერს, მმართველი კოალიციის მიერ დაპირებული ეკონომიკური აღმავლობა ჯერაც არ დამდგარა. უმუშევრობის ასეთი მაღალი დონე არასდროს ყოფილა ქვეყანაში. ვერავითარი ხრიკები ვერ მიჩქმალავს იმ ფაქტს, რომ ამჟამად 4,4 მილიონ კაცს, ესე იგი დასავლეთ გერმანიის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 17 პროცენტს, სამუშაო არა აქვს. მარტო ოფიციალურად აღრიცხულ უმუშევართა არმიამ 2,5 მილიონს მიაღწია.

სურათზე: „ადამიანისათვის აუცილებელია სამი რამ: სამუშაო, ხელფასი, პური“ — ეს ლაკონიური წარწერა პლაკატზე იმ საარსებო მოთხოვნილებებზე მეტყველებს, რომელთა დაკმაყოფილებაზეც უარს ეუბნება „ზედმეტ ადამიანებს“ მდიდართა ხელისუფლება... დიუსელდორფში გამართულ ამ დემონსტრაციაში შრომის უფლების დასაცავად ქმრებთან ერთად ცოლებიც და შვილებიც მონაწილეობდნენ.

საკ. ფოტო.

● ინდოეთი

მინისტრის განცხადება

დელი. *პაკისტანი აფართოებს ძირგამოთხრილი ოპერაციების მასშტაბს ინდოეთის წინააღმდეგ.* ეს განაცხადა პარლამენტის აქ მიმდინარე სესიაზე გამოსვლისას ინდოეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ა. ა. რაჰმანმა. მან თქვა, რომ ბოლო ხანს პაკისტანის სპეცსამსახურებმა გააქტიურეს ინდოეთის ტერიტორიაზე ჯაშუშებისა და დივერსანტების შემოგზავნა. ინდოეთის უშიშროების ორგანოებმა ბოლო ხანს გააუვნებლეს პაკისტანელი აგენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა პაკისტანის მოსაზღვრე ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის, ფენჯაბის, რაჯასთანისა და გუჯარათის შტატებში.

ამასთან დაკავშირებით ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ ინდოეთის წინააღმდეგ თავის „საიდუმლო ომში“ პაკისტანის დაზვერვა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დახმარებას ეწყარება. ამერიკის საჯაშუშო უწყების ინსტრუქტორები ხელმძღვანელობენ პაკისტანის სპეცსამსახურების კადრების მომზადებას ლაჰორის, ფეშევარასა და ჰაიდარაბადის რაიონებში მდებარე რამდენიმე ბანაკში.

რეგანის ვიზიტი ჩინეთში

პეკინი. *აქ გრძელდება ჩინეთის ხელმძღვანელებთან ამერიკის პრეზიდენტის რ. რეიგანის მოლაპარაკება, რომელიც მკაცრი უსაფრთხოების ღონისძიებების ვითარებაში მიმდინარეობს.* როგორც იუწყებიან, „მცველთა“ და სხვადასხვა „ტექნიკურ სპეციალისტთა“ რიცხვი, რომლებიც რეიგანს თან ახლავან, 300-ს აღემატება.

პრეზიდენტთან ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ჰუ იაობანის შეხვედრაზე განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები და საერთაშორისო პრობლემები. გაიმართა აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერისა და რეიგანის მოლაპარაკების მეორე ტური. ჩინეთის მხარემ კვლავ აღნიშნა, რომ მთავარი დაბრკოლება ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზაზე ტაივანის საკითხია.

ჩინეთის პრესის ცნობით, ვიზიტის შედეგად აქ პარაფირებული იქნება ჩინეთ-ამერიკის შეთანხმება ბირთვული ენერგიის გამოყენების სფეროში თანამშრომლობის შესახებ და ხელს მოაწერენ მთელ რიგ დოკუმენტებს.

მოლაპარაკების მსვლელობაში და საჯარო გამოსვლებში ამერიკის პრეზიდენტი კვლავ იყენებს პეკინს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ უხეში გამოხდომების ტრიბუნად. უტიფრად ამახინჯებს რა სსრ კავშირის პოლიტიკას, რეიგანი ცდილობს ყოველნაირად გაამართლოს თავისი ადმინისტრაციის კურსი მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში.

ვაშინგტონი. *რეიგანის თანმხლები ამერიკელი კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაცია ცდილობს ეს ვიზიტი შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის აუზში თავისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს. როგორც „გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რეიგანი „დაეინებით მოითხოვს სსრ კავშირთან დაპირისპირებაში შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ერთობლივ დაინტერესებას“.*

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲚᲝᲑᲐᲜᲨᲘ

ბეირუთი. *ლიბანის პრემიერ-მინისტრი რ. კარამე განაგრძობს კონტაქტებს პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფებების წარმომადგენლებთან იმ მიზნით, რომ ჩამოაყალიბოს ეროვნული ერთიანობის მთავრობა.* მან მოუწოდა მოწინააღმდეგე მხარეებს დაყაორნ იარაღი და შეუდგნენ ლიბანის სახელმწიფოს აღდგენას თანასწორობისა და სამართლიანობის საფუძველზე. ადგილობრივი პოლიტიკური მმომხილველები აღნიშნავენ, რომ შეიძლება გაჭიანურებული ხასიათი მიიღოს ახალი მთავრობის შექმნის პროცესმა, რომელიც მრავალრიცხოვან სიძნელეებს აწყდება. განვლილი დღე-ღამის მახვილზე დედაქალაქის სამხრეთ გარეუბნებში სპორადული სროლა ატყდა. დღემდე დაკეტილია ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტი და საზღვაო ნავსადგური.

ლიბანის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების ჩაფუშვას ცდილობს ისრაელის მხედრიონი. ისრაელის განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ლიბანის მომავალი მთავრობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რ. კარამემ დასახელა ოკუპაციისაგან სამხრეთ ლიბანის განთავისუფლება. ბოლო ხანს თელ-ავივმა და მისმა მარიონეტებმა — ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ლიბანის დაცვის არმიის“ წევრებმა გაძლიერეს რეპრესიები ქვეყნის ოკუპირებული ნაწილის მოსახლეობის წინააღმდეგ.

დამსჯელები შეიჭრნენ სოფელ ბისარიეში, ალყაში მოაქციეს იგი, ავტომატების ცეცხლი დაუშინეს, დაჭრეს რამდენიმე გლეხი და დააპატიმრეს 15 კაცი. სამხრეთ ლიბანის დასახლებულ პუნქტიანუჭში ისრაელმა ჯარისკაცებმა გზა გადაუკეტეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების სამპატრულო ავტომობილს. შემდეგ ისრაელის ჯავშანტრანსპორტიორმა დაამტვრია „ცისფერი მუზარადების“ მანქანა. სამხრეთ ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების წარმომადგენელმა პროტესტი განაცხადა ოკუპანტების მოქმედების გამო. ლიბანელი პატრიოტები სულ უფრო ძლიერ დარტყმებს აყენებდნენ ინტერვენტებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი შეუდგა ნაშრომების მიღებას 1985 წლის პრემიების მოსაპოვებლად. ნაშრომები წარმოდგენილ უნდა იქნეს 1984 წლის 5 ოქტომბრამდე.

ნაშრომები კომიტეტში უნდა გამოგზავნოს შემდეგი მისამართით: 380008, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 52, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, მეხუთე სართული, ოთახი 525. ტელეფონები: 99-93-29, 93-88-72 (14-დან 17 საათამდე ყოველდღიურად).

აქვე შეგიძლიათ მიიღოთ ცნობები პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომების წარდგენისა და გაფორმების შესახებ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 1985 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡᲐᲮᲔᲑ

ყველაზე თვალსაჩინო პროექტებისა და ამ პროექტებით მშენებლობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების კომისია იღებს მასალებს 1985 წლის პრემიების მოსაპოვებლად. მასალები მიიღება 1984 წლის 1 ნოემბრამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების მისაღებად შეიძლება წარდგენილი იქნეს მუშაკთა კოლექტივები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ:

ყველაზე თვალსაჩინო პროექტების შემუშავებასა და ამ პროექტებით მშენებლობის საწარმოების (საწარმოთა ჯგუფების), შენობებისა და ნაგებობების მშენებლობაში, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარების და განაშენიანების პროექტების შექმნაში.

მეცნიერული პრობლემების შემუშავებასა და მშენებლობის, არქიტექტურის, სამშენებლო მასალების ,სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევების დანერგვაში;

აღნიშნული ნამუშევრები, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი აღიარება პოვა, უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, უზრუნველყოფდეს შრომისა და წარმოების მაღალეფექტიან ორგანიზაციას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას, ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვასა და რაციონალურ გამოყენებას, მასალატევადობისა და ღირებულების შემცირებას, შრომის ხარისხისა და ნაყოფიერების ამაღლებას, მშენებლობის ორგანიზაციის, ტექნოლოგიისა და მართვის სრულყოფას.

დაუშვებელია ერთდროულად ნამუშევრების წარდგენა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიების მოსაპოვებლად და ლენინური და სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად.

კოლექტივების წარდგენასთან და მასალების მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე უნდა მიმართოთ სსრ კავშირის სახმშენის თვალსაჩინო პროექტებისა და მშენებლობისათვის პრემიების განყოფილების მისამართით: 103828, ГСП, Москва, Пушкинская ул. 26. ტელ. ცნობებისათვის: 292-62-49, 292-61-10.

● ●

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲒᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

როცა ლაზარევიჩი კარგ გუნებაზეა

მილუნკა ლაზარევიჩი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა, როცა ამ ტურნირის მონაწილეების დიდი ნაწილი დაბადებულიც არ იყო. ეს გარემოება დღისათვის თითქოს იუგოსლავი დიდოსტატის სასარგებლოდ არ უნდა მეტყველებდეს, მაგრამ ლაზარევიჩი სულაც არ კარგავს ოპტიმიზმს. იგი განწყობილების მოთამაშეა. როცა კარგ გუნებაზეა, შეუძლია ნებისმიერ მეტოქეს ნიფთი შეამთხვიოს, მილუნკა კი თბილისში ყოველთვის კარგ გუნებაზეა! მეექვსე ტურში იუგოსლავიის მრავალგზის ჩემპიონი ჩინებულად თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონთან. სიცილიურ დაცვაში შავებით ჩიბურდანიძემ მდგომარეობა კი გაათანაბრა, მაგრამ შემდეგ არაერთი „ნაღმისათვის“ გვერდის ავლა მოუხდა. ორივე მეტოქე შესანიშნავად, აქტიურად მოქმედებდა. ბოლოს მდგომარეობა გამარტივდა და ეტლების თანაბარ ენდშპილში ყაიმი აღინიშნა. მაყურებლებმა ორივე დიდოსტატი ასეთი მშვენიერი თამაშისათვის ტაშით დაჯილდოვეს.

ფრიად იღბლიანი სტარტის შემდეგ, ეტყობა, ძნელი დღეები დაუდგა კრამლინგს. ეს გასაკვირიც არ არის. შვედი დიდი „ჩართვით“ თამაშობს, კომპრომისებს არ ცნობს, რაც საბოლოო ანგარიშით ღლის კიდეც. მან თეთრებით ივანჩუკთან ვერაფერი მიიღო. პირიქით, უნგარელმა სულ მალე უპირატესობა მოიპოვა და, უფრო ენერგიული რომ ყოფილიყო, ყაიმს არ დასჯერდებოდა. ასევე ყაიმით დასრულდა ლიტინსკაია-გაფრინდაშვილის შეხვედრა, სადაც თეთრებმა დებიუტით ვერაფერი მიიღეს, გაფრინდაშვილს კი, რომელსაც პირველ 5 პარტიაში დიდი ჯაფა დაადგა, ეტყობა, ერთგვარი შესვენება სჭირდებოდა. ამ ტურნირის ერთ-ერთი დიდი სიურპრიზია ალექსანდრიას აშკარად სუსტი თამაში. მას თითქმის ყველა პარტიაში მძიმე შეცდომები მოსდის, ხშირად ვერ ამჩნევს მეტოქეთა ტაქტიკურ მუქარას. გურიელთან მწვავე პოზიციაში, სადაც შთელი ბრძოლა წინ იყო, ალექსანდრიას მხედველობიდან გამორჩა საკმაოდ მარტივი დარტყმა და შამათი მიიღო.

მაშინ, როცა ლიდერები შეფერხდნენ, თავისი მდგომარეობა აშკარად გაიუმჯობესა ახმილოვსკაიამ. მასთან შავებით მოთამაშე ვიზვამ ვერ შეძლო პოზიციის გათანაბრება, თანდათან მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა და წააგო. იოსელიან-ხუგაშვილის პარტია გადაიდო, მაგრამ მისი ბედი ეჭვს არ იწვევს —იოსელიანმა უნდა გამმარჯვოს. ასევე დაუმთავრებელი დარჩა ანგელოვა-მურეშანის შეხვედრაც

გუშინ დილით დამთავრდა 6 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. ხუგაშვილი ყაიმზე შეუთანხმდა კრამლინგს, ალექსანდრია-ახმილოვსკაიას, მურეშანი — ანგელოვას. ივანჩუკ მოუგო ვიზვს, იოსელიანმა — ხუგაშვილს.

გუშინ საღამოს მეშვიდე ტურში სწრაფად დამთავრდა ყაიმით ხუგაშვილ-ანგელოვას პარტია. ასევთვე შედეგით, მაგრამ მძაფრი ბრძოლის შემდეგ, დასრულდა ჩიბურდანიძე-ალექსანდრიასა და ვიზვ-კრამლინგის შეხვედრა. ოთხი პარტია გადაიდო.

7 ტურის შემდეგ 5-5 ქულით წინ არიან ჩიბურდანიძე და კრამლინგი. ახმილოვსკაიას 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, გაფრინდაშვილს, გურიელსა და ლაზარევიჩს — 3,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

დღეს მერვე ტურში ალექსანდრია თეთრებით ეთამაშება გაფრინდაშვილს, გურიელი — ჩიბურდანიძეს, ახმილოვსკაია — კრამლინგს.

გ. გამრეკელი.

ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ: ᲕᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝᲗ ᲣᲙᲔᲗ, ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ!

უკვე მეორე საფეხურთო სეზონია, რაც თბილისის „დინამო“ ეძებს თავის თამაშს, გრძელდება მისი ოპტიმალური შემადგენლობის დადგენის ცდებიც. ამის დასტური გახლდათ გუშინდელი მატჩიც — ამჯერად ბაქოს „ნეფთჩისთან“. წინა ტურებთან შედარებით „დინამოს“ შემადგენლობაში საგრძნობი ცვლილებები ვიხილეთ.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, ბაქოს „ნეფთჩი“ ის ძლიერი პარტნიორი არ გახლდათ, რომელთანაც საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით გამარჯვებამ (3:1) ზომას გადაჭარბებული ოპტიმიზმი გაგვიჩენოს. მაგრამ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაქოელებთან, ზმ ბოლო წლებში მეტად ძნელ მტოჩეებთან, შიშით თამაშის ფსიქოლოგიური ზღუდე, როგორც ჩანს, ერთგვარად დავძლიეთ. ყოველივე ეს განსაკუთრებით გამოიხატა შეხვედრის პირველ ტაიმში, რომელიც თბილისელებმა სრული უპირატესობით წარმართეს. ალბათ ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ დინამოელები და მათი ხელმძღვანელები ცდას და ენერგიას არ დაიშურებენ იმისათვის, რათა კოლექტივში თავჩენილ უამრავ პრობლემას თანდათანობით თავი გაართვან.

რაც შეეხება მეორე ტაიმს, თბილისელთა თამაშში სიმწყობრემ საგრძნობლად იკლო. დავთმეთ შუა მინდორი და მეტოქეებს რამდენიმე სახიფათო იერიშის განხორციელების საშუალებაც მივეცით, რომელთაგან ერთ-ერთი დინამოელთა კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით დამთავრდა. ამ მატჩში სამი პენალტი დაინიშნა, მოსკოველი მსაჯი ა. სავჩენკო ყოველ ასეთ ვითარებაში მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, თუმცა მას ერთხელ არ ეყო გამბედაობა, როცა პირველ ტაიმში გუსკოვი აშკარად მოცელეს. ამ დღეს თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ჩივაძემ (მე-16 და 64-ე წუთებზე — ორივე პენალტით) და კაკილაშვილმა (26-ე წუთზე). ბაქოელთაგან ერთი ბურთი გაიტანა ხასანოვმა (59-ე წუთზე, პენალტით).

დინამოელთა გუშინდელი სახეშეცვლილი შემადგენლობა ასეთი იყო: აბუსერიძე, კეტაშვილი, ჩიკვაძე, ჭილაია, არზიანი, კაკილაშვილი, ყორდანია, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, ჟორჟიკაშვილი. ძირითად შემადგენლობაში რომ მათგან საბოლოოდ ყველა მოიკიდებს ფეხს, ამის გადაჭრით თქმა ახლა ძნელია. ამას ფრო გვიჩვენებს, მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ ჟორდანია. როგორც წინა, ასევე გუშინდელ მატჩში, ამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა არც თუ ურიგოდ ითამაშა. თუმცა კარგი დებიუტი ერთია, მაგრამ მეორე უფრო მნიშვნელოვანი კი — პოტენციურ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენა, ფიზიკური გამძლეობის გაზრდა. ამას ველით მისგანაც და სხვა ახალგაზრდა თანაგუნდელებისაგანაც.

მომდევნო, მერვე ტურის მატჩს თბილისელები 3 მაისს ერევანში, ტრადიციულად ძნელ მეტოქესთან, „არარატთან“ გამართავენ.

გუშინ უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის კიდევ შვიდი მატჩი გაიმართა. გთავაზობთ შედეგებს: „შახტიორი“-„არარატი“ — 0:0, როსტოვის ასკ-მინსკის „დინამო“ — 0:0, „დნეპრი“-„მეტალისტი“ — 1:0, მოსკოვის „სპარტაკი“-ცსკა — 1:2, „ფახთაქორი“-მოსკოვის „დინამო“ — 3:2, კიევის „დინამო“-„ტალგრისი“ — 0:0, „ჩერნომორეცი“-„ზენიტი“ — 1:3.

ჯ. ენუქიძე.

ᲣᲙᲐᲜᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲥᲝᲗ!

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ღია ჩემპიონატი მხაცვრულ ტანვარჯიშში. რესპუბლიკის 1984 წლის ახალოლუტური ჩემპიონის წოდებას დაეუფლა სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 17 წლის მარიკა გოგოლაშვილი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საგულრნირო ორბიტა

თბილისუფალი ჰიდაობა. შვეიცარიის ქალაქ იონჩეპინგში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დიდი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა. ექვსი საბჭოთა სპორტსმენი ოქროს მედალს დაეუფლა. ოქროს მედლები მიიღეს მოსკოველმა ს. კორნილაევმა (48 კგ-მდე წონითი კატეგორია), კიეველმა ს. ბელოგლაზოვმა (57 კგ), ტაშკენტელმა ა. ფაძაევმა (68 კგ), მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ტ. მაგომაევმა (74 კგ), მინსკელმა ვ. ეფლოვმა (90 კგ) და მახაჩყალელმა მ. მაგომედოვმა (100 კგ).

ძალოსნობა. ესპანეთის ქალაქ ვიტორიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე პირველ სამ წონითს კატეგორიაში კონტინენტზე უძლიერესთა წოდება მოიპოვეს ბულგარელებმა ნ. ტირზისკიმ (52 კგ-მდე წონა) —262,5 კგ, ნ. სულეიმანოვმა (56 კგ) — 297,5 კგ და ს. ტოპუროვმა (60 კგ) — 315 კგ. ამ სამ წონით კატეგორიაში საბჭოთა სპორტსმენთაგან ი. სარქისიანმა შეძლო საპრიზო მეორე ადგილის დაკავება.

ჰაჯრაკი. ლონდონში მიმდინარე ეიქთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრების მეორე ტურში მსოფლიო ჩემპიონმა კარპოვმა დაამარცხა ინგლისელი ჩანდლერი, შესაძენი — ჰოლანდიელი ტიმანი. პოლუგაევსკიმ პირველ ტურში გამარჯვების შემდეგ უყიმით დაამთავრა შეხვედრა ინგლისელ მესტელთან, ფილიპინელ ტორეს კი მოუგო. ახლა კარპოვი და პოლუგაევსკი 2,5-2,5 ქულით ლიდერობენ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ჭ. ᲑᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ №38 ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

აგრძელებს საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულ ახალგაზრდათა მიღებას სწავლების შემცირებული პროგრამით ხარატის და მექანიკურ სამუშაოთა ამწყობი ზეინკლის სპეციალობაზე.

სწავლის ვადა 6 თვეა. სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად. სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 80 მანეთის ოდენობით, ფრიადოსნები 25 პროცენტით მეტს. საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მიეცემათ გამომუშავების 33 პროცენტი.

ყველა კურსდამთავრებული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო ადგილით დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში. სამუშაოს დაწყების პირველივე დღიდან მსურველი აყვანილი იქნება ბინით დაკმაყოფილების აღრიცხვაზე, მანამდე ახალგაზრდებს დაიბინავებენ ქარხნის საერთო საცხოვრებელში.

ქარხანაში შექმნილია საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებაზე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შემსვლელთათვის მოსამზადებელი კურსები, სადაც იგზავნებიან მოწინავე მუშები ქარხნის ლიმიტით.

კურსდამთავრებულები, რომლებიც მიიღებენ წარჩინების დიპლომს, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ იმ უპირატესობით, რომელიც დადგენილია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ოქრომედალოსნისათვის. კურსდამთავრებულები, რომლებსაც ექნებათ ყველა საგანში „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება, წარჩინებით ჩაბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, გამოშვების 10 პროცენტამდე უფლება აქვთ უმაღლეს სასწავლებელში დღის განყოფილების შესაბამის სპეციალობაზე შევიდნენ უშუალოდ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

სასწავლებელში ჩარიცხვისას მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, დაბადების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, დახასიათება, სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5 ცალი ფოტოსურათი 3X4; პასპორტი და სამხედრო ბილეთი უნდა წარმოადგინონ პირადად.

სწავლა დაიწყება 3 მაისს, 1 ივნისს და 1 ივლისს.

სასწავლებლის მისამართი: მეორე კომკავშირის ჭიხა № 22 (26 კომისრის რაიონი), ტელ. 74-22-91; 74-08-24.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲖᲝᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ-ᲡᲐᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

1984 წლის 6 მაისს 10 საათზე ინსტიტუტში შემსვლელთათვის აწყობს

„ღია კარის“ დღეს.

აბიტურიენტებს შეხვდებიან პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა. არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საინტერესო საკითხებზე მათ პასუხს გასცემენ რექტორატის, პარტიერების და კომკავშირული კომიტეტების წარმომადგენლები. გაიმართება საუბრები ინსტიტუტის სტრუქტურის, მეცნიერების ცალკეული დარგებისა და მათი სპეციფიკის შესახებ.

შარშანდელი მისაღები გამოცდების საგნობრივი კომისიის თავმჯდომარეები ისაუბრებენ მისაღები გამოცდების თავისებურებათა შესახებ.

მისამართი: *თბილისი — კრწანისი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი,* ავტობუსი № 23.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

საღლესასწაულო მზადებისას ნუ დაივიწყებთ სასანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის აუცილებლობას

უნდა გახსოვდეთ!

არ შეიძლება ბენზინისა და სხვა ადვილადაალებადი სითხეების გამოყენება იატაკის მოსაწმენდად და მასტიკის გაცხელება ღია ცეცხლზე ან ელექტროქურაზე.

უმთავლესყოფილად ნუ დატოვებთ ანთებულ ნავთქურას, გაზქურას ან ჩართულ ელექტროსახურებელ ხელსაწყოებს და ნუ მიანდობთ მათდამი მეთვალყურეობას ბავშვებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო; საქართველოს მეხანძრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოება.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲝ

30 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.15 — ხალხური მელოდიები. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — „დღის ფოსტა“. 12.30 — ლიტერატურის, ხელოვნებისა და